

გაჩვენოს პროგნოზი
საბუნების აჭარის
ჰიდრომეტეოროლოგიური
ოზონოლოგიის ცენტრით

დღეს მოსალოდნელია წვიმა ელქვიით, დასავლეთის მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წაშში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 25-30, შიდა რაიონებში - 23-28 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 28 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 760 მილიმეტრი. ხვალ მოსალოდნელია უნაღველი ამინდი, მომდევნო 2 დღეს, საღამოსა და ღამის საათებში, დროგამოშვებით წვიმა.

ბათუმის რეფერალურ ჰოსპიტალში მამოლოგიის ცენტრი გაიხსნა

მანანა ტაპიძე 593 10 15 17

მედცენტრი - ბათუმის რეფერალურ ჰოსპიტალში მამოლოგიის ცენტრი გაიხსნა. ოფიციალური გახსნის ცერემონიას აჭარის განვითარების მინისტრი ნინო ნიჟარაძე, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ილია ვერძაძე, ბათუმის მერის მოადგილე ლელა სურმანიძე, საკრებულოს დეპუტატები და ის პაციენტები დაესწრნენ, რომლებმაც მკურნალობის კურსი წარმატებით გაიარეს, დაამარცხეს სიმსივნე და სხვებისთვისაც მაგალითი გახდნენ

- აჭარა ძალიან დიდი რეგიონია, სადაც დროულ და ხარისხიან დიაგნოსტიკაზე მოთხოვნები საკმაოდ დიდია. მამოლოგიის ცენტრის გახსნის მიზანი მოსახლეობისთვის უახლესი ტექნოლოგიებით სკრინინგის ჩატარება და თანამედროვე აპარატურით მკურნალობის კურსის ხელმისაწვდომობაა. ამ ადამიანებზე ხელისუფლება ზრუნავს, ახორციელებს სახელმწიფო პროგრამებს, რომლის ფარგლებშიც ჩვენ ევროპულ და ამერიკულ დიაგნოსტიკას ვატარებთ. პაციენტებს აქვე ვთავაზობთ ყველა საჭირო მომსახურებას, რაც მათ შემდგომი მკურნალობის პროცესში ესაჭიროებათ, - განაცხადა მამოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელმა თემურ გოგიტიძემ.

მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედ-



ცენტრის დამფუძნებლის მიხედვით ართმელაძის განცხადებით, ახალი ცენტრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება რეგიონში სამედიცინო მომსახურების განვითარებისთვის. ცენტრი უზრუნველყოფს ყოველმომცველ მომსახურებას სკრინინგიდან ოპერაციამდე.

- ამ სენის დასამარცხებლად კონკრეტული წამალი არ არსებობს ონკოლოგიაში. ამიტომ დროული სკრინინგი და დიაგნოსტიკა აუცილებელია შემდგომი პროცესებისთვის. მინდა, მაგალითად გადავუხადო მედპერსონალს იმ საქმიანობისთვის, რასაც აკეთებენ ყოველდღიურად. მჯერა, ერთიანი მიდგომით და მონდომებით ყველაფერს შევძლებთ, - აღნიშნა მიხეილ ართმელაძემ.

ლოლა ტუმანიანი ერთ-ერთია იმ მრავალთაგან, რომელმაც წარმატებით გაიარა მკურ-

ნალობის კურსი, დაამარცხა სიმსივნე. მისი ბრძოლისუნარიანობა და შემართება სხვებისთვისაც სამაგალითო გახდა.

- ასეთი სივრცის გახსნა ძალიან მნიშვნელოვანია სიმსივნის დიაგნოზის მქონე პაციენტებისთვის. ისინი ადვილზე მიიღებენ ევროპული დონის მომსახურებას. პაციენტები, რომლებსაც ასეთი რთული დიაგნოზი აქვთ და სიცოცხლისთვის იბრძვიან, აღარ იქნებიან იძულებულნი, წავიდნენ იგივე მომსახურებისთვის მეზობელ თურქეთში ან თბილისში. ამ ადამიანებს შანსი ეძლევათ, მიიღონ სრულყოფილი კომფორტული მომსახურება და სრულფასოვნად გააგრძელონ ცხოვრება. მაგალითად ყველას ამ შესაძლებლობისთვის, - გვითხრა ლოლა ტუმანიანმა.

საკონსტიტუციო სვლილებები, «უხსოური გამჭვირვალობის» რეისტრში რეგისტრირებული არასამთავრობოები და «სირსხვილიას» - სირსხვილი

2

«დაღუპული ოპტიკური პარიანტია ამ მოხაზულობაში»

სიხსნაები - აჭარის სპორტულ ინფრასტრუქტურასა და საჯარო სკოლებში

3

5

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოინერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დანებებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის ახარი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.

„დედაბატიხი ოპტიმალური ვარიანტი“ ამ მოცემულობაში“ პროპორციული საარჩევნო სისტემა და... დედაბატიხი

0886 ცხელხაპი 577 10 15 17

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა თორნიკე რიჟვაძემ „ქართული ოცნებიდან“ აჭარის უმაღლესი საბჭოს დელეგატები დაასახელა. „26 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, ტარდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. შესაბამისად, დღეს მსურს, წარმოვადგინოთ დელეგატები „ქართული ოცნებიდან“, რომლებიც წარმოადგენილი იქნებიან როგორც წამყვან პოზიციებზე უმაღლეს საბჭოში საკონსტიტუციო უმრავლესობის დაკომპლექტების მიზნით, ასევე, გაუძღვებიან აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში საარჩევნო კამპანიას. ძირითადი კრიტერიუმები, რის გამოც შეირჩა ეს ხალხი და რაც განსაზღვრავს დელეგატების საფუძველს, არის პროფესიონალიზმი, კეთილსინდისიერება, ქვეყნისა და ხალხის სიყვარული. დარწმუნებული ვარ მათ წარმატებაში. მინდა, თითოეულ მათგანს წარმატებული საარჩევნო კამპანია უფურცავ“, - განაცხადა მან „ქართული ოცნების“ ამ ინიციატივას მოჰყვა საკმაოდ მძაფრი კრიტიკა ოპოზიციის მხრიდან, რომლის უმეტესობა თვლის, რომ ეგრეთ წოდებული დელეგატები პარამონულად ჩაენაცვლებიან მსურველებს, რაც ნიშნავს, რომ საარჩევნო სისტემა იგივე რჩება.



- რას ნიშნავს „სასარგებლო“ ამ შემთხვევაში?
- სასარგებლოა, რადგან პროპორციების მიხედვით ნაწილდება (პარლამენტში 150 მანდატი) ის მანდატები, რომელთა ნახევარზე მეტი მსურველებს სისტემით ნაწილდება. უმაღლესი საბჭოს შემთხვევაში 21-ივე მანდატი გადათამაშდება პროპორციული წესით.

ვიმეორებ, დელეგატები პროპორციული სის წევრები არიან, თუმცა უკუკავშირისთვის და საკანონმდებლო ორგანოში მოსახლეობის ჩართულობისთვის დელეგატები ოპტიმალური ვარიანტი ამ მოცემულობაში, როცა სახელმწიფოში პირველად ტარდება სრულად პროპორციული არჩევნები და ადამიანები ითხოვენ საკუთარ წარმომადგენელს ქვეყნის მართვაში

სით. ბარიერგადალახული პარტიები მიიღებენ გაცილებით მეტ ადგილს საკანონმდებლო ორგანოებში, რითაც მოახერხებენ საკუთარი და ამომრჩევლების ინტერესების გატარებას. არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარებას ვერ კიდევ 2006-2007 წლებიდან ვითხოვდით, ანუ მას შემდეგ, რაც ჩვერთვე პოლიტიკაში. მისი დამკვიდრება თითქმის ყველა პოლიტიკურ ძალას სურდა, აპელირებდა ამ თემაზე ყველა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს გარდა. კარგად იცით, რომ 2020 წელს ნახევრად პროპორციული არჩევნები ჩატარდა. პარლამენტში 150 მანდატიდან 120 - პროპორციული სისტემით განაწილდა. ეს იყო თავისებური გამოცდა, ექსპერიმენტი, თუ ასე გნებავთ, ახლა კი „ქართული ოცნება“ ასრულებს დანაპირებს და ამკვიდრებს იმ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ხმის მიცემის კიდევ უფრო სამართლიან და გამჭვირვალე პროცესს.

რაც შეეხება დელეგატებს, თავისთავად გვაგონებს მსურველებს სისტემას. სწორედ ამას აპროტესტებენ ოპოზიციის წარმომადგენლები.

- ამ თემაზე ჩატარდა ბევრი გამოკითხვა მოსახლეობაში, მათ შორის გაეროს კვლევა, რომელმაც დაადასტურა, რომ ამომრჩევლებს სურთ, ბმა ჰქონდეთ საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლებთან, ვინაიდან არჩევნები აუცილებლად უნდა ჩატარდეს პროპორციული სისტემით, რადგან ეს იყო „ქართული ოცნების“ დაპირება და კონსტიტუციური ცვლილება - ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა გადაწყვიტა, რომ ისევ პროპორციულ სიაში წარმოადგინონ სუბიექტები, გარკვეული ტიპის პოლიტიკური და სამართლებრივი ვალდებულებით (მცირე დოზით). აჭარის უმაღლეს საბჭოში წარმომადგენელი იქნება 6 დელეგატი, ხოლო პარლამენტში - სამი.

2016 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით გადაანაწილა მსურველები, აქედან გამომდინარე, დელეგატების მხოლოდ რაოდენობის მიხედვით გადაანაწილება რამდენად სამართლიანია?

- დიან, ქობულეთს და განსაკუთრებით ბათუმს გაცილებით მეტი ამომრჩეველი ჰყავს, რადგან მოსახლეობაც მეტია. ცხადია, რაღაც დოზით ეს იწვევს უპაირობას, მაგრამ რადგან არის მუნიციპალური დაყოფა

და ექვსი მუნიციპალიტეტია, უნდა დავკვირდეთ ამ მანდატებს. ერთი მხრივ, „ქართული ოცნება“ ისტორიული ნაბიჯი გადადგა და პროპორციული საარჩევნო სისტემა დამკვიდრა, მეორე მხრივ კი გაითვალისწინა მოსახლეობის მოთხოვნა და შემოიტანა სახელმწიფო დელეგატების სახით, რომლებიც მსურველების ფუნქციებს შეითავსებენ და კონკრეტული ოლქების მოსახლეობის კონკრეტულ მოთხოვნებს და ინტერესებს წარმოადგენენ საკანონმდებლო ორგანოებში. ეს, მართლაც, ძალიან კარგი გამოცდაა და ვერ გვხვდება, რატომ აპროტესტებენ ოპოზიციის გარკვეული ნაწილი? ისეთი წარმომადგენელი რჩება, რომ მათთვის სულ ერთია, რაზე ისაუბრებენ, მთავარია, ყოველგვარი არგუმენტის გარეშე ნეგატივი აუგორონ მმართველ პარტიას. ვიმეორებ, დელეგატები პროპორციული სის წევრები არიან, თუმცა უკუკავშირისთვის და საკანონმდებლო ორგანოში მოსახლეობის ჩართულობისთვის დელეგატები ოპტიმალური ვარიანტი ამ მოცემულობაში, როცა სახელმწიფოში პირველად ტარდება სრულად პროპორციული არჩევნები და ადამიანები ითხოვენ საკუთარ წარმომადგენელს ქვეყნის მართვაში. მე, როგორც მსურველები, კარგად გვხვდება, რომ ეს მართლაც ასეა. ბევრი მომართავდა და ახლაც მომართავს ისეთ საკ-

- პირველ რიგში, აღვნიშნავდი გარკვეული მნიშვნელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია დღევანდელ მსოფლიოში. თუკი საქართველოს გეოპოლიტიკურ მდებარეობას გავითვალისწინებთ, დამეთანხმებით, რომ იყო, არის და იქნება სამხედრო ესკალაციების რისკები. აქვე გავიხსენებ ჩანაცვლის სისტემას, რომელიც მთლიანად შეიცვალა მოსახლეობის ინტერესების მიხედვით. ჩანაცვლების დაცვის ყველა პროგრამა მორგებულია პაციენტებზე და ხალხს აძლევს უფასოდ ან მინიმალურ ფასებში მკურნალობის საშუალებას. ყოველწლიურად ეს პროგრამები უფრო და უფრო იტვირთება, რათა დეტალურად ჩაწვდეს არსებულ პრობლემებს და მოახდინოს რიგი დაავადებების პრევენცია და კონტროლი. ამ მიმართულებით გადის სახელმწიფო ბიუჯეტის თითქმის მესამედი. აქვე გავიხსენებ ბავშვების სკოლებში ტრანსპორტირების პროგრამას. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის (განსაკუთრებით, მაღალმთიან რეგიონებში) და მოსწავლეთა უსაფრთხოდ გადაადგილების პრობლემებმა (ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ, ტყვანი ადგილები სოფლებს შორის, სადაც გარეული ცხოველები საშიშროებას, მდინარებზე გადასასვლელი და ა.შ.) წარმოქმნა მათი საცხოვრებელი ადგილიდან სკოლაში ტრანსპორტით გადაადგილების საჭიროება, რასაც 2013 წლიდან აფინანსებს ბიუჯეტი. ამასე არავინ საუბრობს. ერთი შეხედვით, თითქმის არაფერია, მაგრამ უდიდესი დატვირთვა აქვს როგორც ბავშვებისთვის, ისე მათი ოჯახებისთვის. ინფრასტრუქტურის მხრივ კარგად განვითარდა ქობულეთი. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ დარჩენილია პრობლემები, ძირითადი საქმე გაკეთებულია - გზების, წყა-

ლგაყვანილობის, ხიდების, ასფალტირების თუ ბეტონირების კუთხით. ყველაფერს ვერ ჩამოვთვლით. მეწყურულმა პროცესებმა საკმაოდ ბევრ სახლს შეუქმნა პრობლემა, რაც უცებ მოავარა სამთავრობო სტრუქტურებმა. ეს მიმართულება, ისევ და ისევ, პრიორიტეტად დარჩება, რათა ხალხს ჰქონდეს უსაფრთხო გარემო და კომფორტული კომუნალური სერვისები, რაც, პრაქტიკულად, ათანაბრებს სოფელს ქალაქთან და ნიშნავს ევროპულ მიდგომას. შედეგად, მცირდება სოფლიდან ქალაქში მიგრაციის ნაკადი. აქვე ვიტყვი, რომ მიიწურა ტურისტული სეზონი, რომელიც ძალიან წარმატებული აღმოჩნდა როგორც ზღვისპირა ზოლისთვის, ისე სოფლებისთვის ქობულეთსა და მდინარეთან აჭარაში, სადაც განვითარდა საოჯახო სასტუმროების ქსელი და დამკვიდრდა საინტერესო ტურისტული მარშრუტები.

რას თვლით ქობულეთში ძირითად პრობლემად, რომლის გამოსწორება დაგეგმილი გაქვთ შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში, ანუ რის გაკეთებას გეგმავთ, არჩევნებში თუ გაიმარჯვებთ?

- პირველ რიგში, ისევ და ისევ ქობულეთის ინტერესების ლობირებას უმაღლეს საბჭოში, განსაკუთრებით, აჭარის სახელმწიფო ბიუჯეტის დამატების პროცესში. კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს ის პრიორიტეტები, რომლებზეც ვსაუბრობდით, გველისხმობ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, სოფლის მეურნეობის დარგების და ტურიზმის განვითარებას. ტურიზმი ხომ ვერ კიდევ ნიკოლოზის დროიდან ვითარდებოდა ქობულეთსა და მის შემოგარენში. არ შეიძლება ასეთი უზარმაზარი პოტენციალის უყურადღებოდ მიტოვება და ამხელა შემოსავალზე უარის თქმა. აქედან გამომდინარე, მმართველი პარტია გააგრძელებს ამ კუთხით მუშაობას მოსახლეობის და ქვეყნის საკეთილდღეოდ. აუცილებელია, საერთაშორისო ბრენდების შემოყვანა, ტურისტული, კვების თუ დასასვენებელი ობიექტების, პარკების აშენება არა მხოლოდ ზღვისპირა ზონაში. არ დაგვიწყდეთ, რომ ქობულეთს გააჩნია ულამაზესი ლანდშაფტი, ნაკრძალები, ხეობები, მთები და სხვა. ყველაფერ ამას განსაკუთრებული ყურადღება და ფინანსები უნდა, რაც მომავალში ასევე გაზრდის შემოსავლებს.

- სოფლის მეურნეობაზე რას გვეტყვი?
- ს. მე-4 გვ.



ახალგაზრდობის ლიდერებად ჩამოსაყალიბებლად - შეხვედრები ამერიკელ კონგრესმენებთან

ლაშა ხომეიძე 593 50 82 69

ამერიკის კონგრესის საერთაშორისო ლიდერობის ოფისის ცენტრმა „ლია სამყაროს პროგრამის“ ფარგლებში მნიშვნელოვან ღონისძიებას უმასპინძლა. ორი კვირის განმავლობაში საქართველოდან ნომინირებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მონაწილეობა მიეღოთ თანამედროვე საჭიროებო-ტო და აქტუალური საკითხების განხილვაში, გაეზიარებინათ და გაეთავისებინათ ის სათანადო ცოდნა-გამოცდილება, რასაც ევროინტეგრაცია მოითხოვს. პროგრამაში ჩართული იყო საჭირო მმართველობის დოქტორი, ბსუ-ის ლექტორი ბიბა შარტანაძე, რომელიც ახლახან დაბრუნდა ამერიკიდან და პროგრამის არსზე, დანიშნულებაზე და მიმდინარეობაზე გვესაუბრა.



ამას წინათ ამერიკიდან დაბრუნდით, სადაც მნიშვნელოვან ღონისძიებაში მონაწილეობდით...

თავდაპირველად მივესალმებო ჩვენს მკითხველს და მადლობას გიხდით ამ თემით დაინტერესებისთვის. რაც შეეხება კითხვას, ვმონაწილეობდი კონგრესის საერთაშორისო ლიდერობის ოფისის „ლია სამყაროს პროგრამის“ ფარგლებში (მონაწილეობა მხოლოდ ნომინირებით, რეკომენდაციის საფუძველზე ხდება) მიმდინარე ღონისძიებას, რომელიც დაფინანსებულია ამერიკის კონგრესის მიერ და ადმინისტრირებას უწევს „კონგრესის საერთაშორისო ლიდერობის ოფისის ცენტრი“. ეს იყო უნიკალური შესაძლებლობა, პროფესიული გამოცდილების გაზიარების მიზნით ორი კვირის განმავლობაში ოფიციალური ვიზიტით ვყოფილიყავი აშშ-ში, კერძოდ, ვაშინგტონსა და ჩიკაგოში. როგორც უკვე აღვნიშნე, პროგრამა ხორციელდება ამერიკის კონგრესის ფინანსური მხარდაჭერით და თემ-ატურად მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ანგარიშვალდებული მმართველობა, ახალგაზრდები როგორც ლიდერები, არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარება და მართვა, საზოგადოებრივი წანმრთელობა, ეკონომიკური განვითარება, გარემო და სხვა... განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო აშშ-ის საელჩოს და „ლია სამყაროს პროგრამას“ მოცემული შესაძლებლობისთვის, აქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება დამეხმარება საქართველოში მის პრაქტიკულ რეალიზებაში ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე.

ჩვენი ქვეყნიდან, თქვენ გარდა, ვინ იყო ნომინირებული ზემოაღნიშნულ პროგრამაში?

საქართველოდან სხვადასხვა პროფილის ხუთი პროფესიონალი ახალგაზრდა იყო. ჩვენ გვეერთიანებდა ერთი იდეა - ქვეყნის ევროპული მომავლისთვის მუხლჩაუხრელი შრომა და ევროატლანტიკური გზაზე საქართველოს ადვოკატირება.

კონკრეტულად, რა საკითხები განიხილეთ და რამდენად მნიშვნელოვანია იგი მსოფლიო თანამეგობრობისთვის?

„ლია სამყაროს“ პროგრამა ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნებიდან როგორც ახალგაზრდებისთვის, ასევე მოქმედი საჯარო მოხელეებისთვის და ასე შემდეგ დამატებით შესაძლებლობების გაჩენას და პოტენციური მოკავშირეებისა და პარტნიორების მოძიებას ამერიკის შეერთებული შტატებიდან სამოქალაქო აქტივისტების, პროფესიული გადამორბელების, დასავლური და დემოკრატიული ძირებულებებისა და იდეების ხელშეწყობის მიზნით. ვიზიტის დღის წესრიგი იმდენად

კარგად, მაღალკვალიფიციურად იყო შედგენილი, რომ რთული გამოყო რომელიმე შეხვედრა. პირველი შთაბეჭდილებისთვის დედაქალაქის და მსოფლიო პოლიტიკის ცენტრის (თეთრი სახლი, კაპიტოლიუმი) საკუთარი თვლით დანახვა შესანიშნავია. შემდეგ იწყება პირველი ოფიციალური შეხვედრები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, ერთ-ერთი ქალაქის არჩეულ მერთან, სამთავრობო სექტორის და მედიის წარმომადგენლებთან, ახალგაზრდულ პოლიტიკაზე მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციებთან, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებისთვის მებრძოლ უფლებადამცველ ორგანიზაციებთან, სასამართლო სისტემის მოქმედ და ყოფილ მაღალჩინოსნებთან, როგორც არაა პროკურორები, მოსამართლეები, ადვოკატები, ასევე შეხვედრები გვექონდა ჩიკაგოს სამართლის უნივერსიტეტის პროფესორებთან და ბარალელურად ვესწრებოდით კულტურულ ღონისძიებას, რაც უფრო საინტერესოს ხდიდა ჩვენს დატვირთულ გრაფიკს. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ვიზიტები, რომლებიც გვექონდა შესაძლებლობა, პრაქტიკაში გვენახა, როგორ და რა საკითხებზე მუშაობენ სამოქალაქო ორგანიზაციები, ადგილობრივი ხელი-სუფლებების წარმომადგენლები, საკრებულო, მერია თუ სასამართლო სისტემა. პასუხისმგებელ პირებთან შეხვედრებმა კიდევ უფრო ნათლად დავანახა, რაოდენ მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლობა, ასევე, ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული საზოგადოების ფორმირება საერთო კეთილდღეობის მისაღწევად, ეს ყველაფერი კი ამერიკაში ნდობაზე დაფუძნებული მმართველობითა სისტემამ შეძლო.

თქვენი საუბრის, მოხსენების ძირითადი თემა რა იყო?

ჩვენი შეხვედრების ძირითადი ფორმატი გულისხმობდა ამერიკული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა მაგალითად: სამოქალაქო ორგანიზაციის როლი მოქალაქეთა მხარდაჭერის და ადვოკატირების მიმართულებით, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოქალაქეთა ჩართულობის და თანამონაწილეობის სტრატეგიების გაცნობა, არჩევნები და საარჩევნო გარემო, თავისუფალი მედიის და ჟურნალისტიკის როლი ანგარიშვალდებულებული და ღია მმართველობაზე დაფუძნებული მმართველობითი სისტემის ფორმირებაში, დამოუკიდებ-

ბელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების სისტემა და სხვა.

შეხვედრებზე, ძირითადად, რა გლობალური საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება?

ამჟამად ორი ცხელი წერტილი არსებობს მსოფლიოში - უკრაინა-რუსეთისა და ისრაელ-პალესტინის. რა თქმა უნდა, ამ საკითხებზეც იყო საუბარი. ასევე, შევეხეთ გლობალური დათბობის შედეგად გამოწვეულ პრობლემებს და უკანონო მიგრაციას, რაც შეგვიძლია თანამედროვე ამერიკის საშინაო გამოწვევად განვიხილოთ.

უკრაინის ომზე რა ითქვა?

ფაქტობრივად, შემძლია დაგიდასტუროთ, რომ ჩვენი ორკვირიანი აქტიური შეხვედრები უკრაინის მხარდაჭერის განცხადებით იწყებოდა და სრულდებოდა. განსაკუთრებით მინდა გავიხსენო ჩვენი შეხვედრა ამერიკის კონგრესის წევრებთან, კონგრესმენ დანნიკ დავისთან („დემოკრატიის“ ფრთას წარმოადგენდა), რომელმაც თქვა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია უკრაინელი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის, საკუთარი მომავლისათვის და სწორედ ამიტომ ვააგრძელებენ მის მხარდაჭერას საბოლოო გამარჯვებამდე. ამ შეხვედრამ კიდევ უფრო ნათლად გახადა უკრაინელი ხალხის მიმართ აშშ-ის მხარდაჭერა სხვადასხვა (ვი-

ბის“ ფლანგი, ფაქტობრივად, ორმაგად გააძლიერა. ჩემი იქ ყოფნა აქტიურ საარჩევნო პერიოდს დაემთხვა, მოვლენებს უშუალოდ ვაკვირდებოდი და შემძლია ვთქვა, რომ იქ საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისთვის ჰარისის კანდიდატურა იდეალური ვარიანტია, რომ მხარი დაუჭიროს პოტენციურად პირველ ქალ პრეზიდენტს აშშ-ის ისტორიაში.

როგორ აისახება აშშ-ის არჩევნები გლობალურ პოლიტიკაზე?

გამოვყოფდი ორ მიმართულებას. პირველი, დღეს აშშ-ის გლობალური პოლიტიკა გადის უკრაინის სუვერენიტეტის დაცვასა და გაძლიერებაზე, ამ ფონზე კი რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების ჩახშობასა და ისრაელისა და პალესტინის კონფლიქტის მოგვარების ქმედითი ნაბიჯების გადადგმაზე. აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები პირდაპირპროპორციულად არის დაკავშირებული ზემოთ აღნიშნული საკითხების ეფექტურად მოგვარებაზე.

დაბოლოს, რა უნდა გააკეთოს საქართველომ, რომ არ ამოგარდეს აშშ-ის ინტერესების სფეროდან?

ოფიციალურმა თბილისმა, სამწუხაროდ, აქამდე ვაკეთებელი ორგანიზაციები თუ ვაუგებარი განცხადებების გამო, დასავლეთ-



ნანსური, სამხედრო თუ მორალური) კუთხით.

ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით ამერიკაში საბრუნდენტო არჩევნებს. თქვენი პროგნოზით, ვის აქვს შანსი - ტრამპს თუ კამალა ჰარისს?

თავდაპირველად, უნდა აღინიშნოს მოქმედ პრეზიდენტ ჯო ბაიდენის აშშ-ის საპრეზიდენტო მართაობიდან წანმრთელობის გაუარესების გამო გასვლის ფაქტი და მისი კანდიდატურის კამალა ჰარისით ჩანაცვლება. ამ უპრეცედენტო ფაქტმა „დემოკრატი-

თან ურთიერთობის მწვენი ზონიდან ყვითელ ზონაში გადაინაცვლა. ჩვენი ქვეყანა ოქტომბრის ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნების მოლოდინშია. შესაბამისად, ამ მოცემულობით თუ გვინდა, რომ ჩვენი ურთიერთობები წითელ ზონაში არ აღმოჩნდეს, ყველამ ერთად უნდა ჩავატაროთ დემოკრატიული, თავისუფალი და გამჭვირვალე საპარლამენტო არჩევნები, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებისგან იქნება აღიარებული და მოიპოვებს მაღალ ლეგიტიმაციას.

„დეტეგატები ოკციმალური პარკანტია ამ მოცემულობაში“

პროკოროსიული საარჩევნო სისტემა და... დეტეგატები

მე-3 გვერდიდან

ტრადიციულია ციტრუსოვანთა და თხილის ბაღების შემოსავლის მიღებისთვის სხვადასხვა პროგრამის მიმდინარეობა, რომლებიც გულისხმობს შხამქიმატებით, მცირე მექანიზაციით, ტექნიკით... ფერმერების მომარტებას. საქართველოს მასშტაბით სამასი მილიონი იდება ბიუჯეტში სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად. ციტრუსის მიმარ-

თულებით სუბსიდირება 30 თერთამდე გაიზარდა ევროპულ წოდებულ ენესზე. მინდა მადლობა გადავუხადო აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შემხვედრი ნაბიჯებისთვის, რაც გამოიხატება აქამდე მიუწვდომელი ბაზრების დიფერსიფიცირებაში. მიწინაღობის გადასახად ექსპორტზე და სოფლის მეურნეობის ლობირება ლოკალური ნაწილში მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია. ამით სარგებლობენ არა მხოლოდ ადგილო-

ბრივები, არამედ მეზობელი ქვეყნების (უკრაინა, ბელარუსი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი) წარმომადგენლებიც, რომლებიც გზას გვიხსნიან საკუთარი ბაზრებისკენ ჩვენი ლოკალური საგადასახადო სისტემის წყალობით. საწყის ეტაპზე ის სვლა მომგებიანია როგორც მათთვის, ისე ჩვენს ეკონომიკის გასაძლიერებლად. კარგი იქნება, დამატებით გაიხსნას გადასამუშავებელი და წვენების ქარხნები, რადგან ამ ბოლოს, მართლაც, რე-

კორდულ მოსავალს ვიღებთ, მოვლილი და განახლებული ბაღებისგან. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა აღვნიშნო, რომ აქტიურად ვარ ჩართული წინასაარჩევნო მზადებაში ჩემს მეწყვილემ (პარლამენტის) გიორგი ჭყონისთან ერთად. მან ორი ძალიან მნიშვნელოვანი ობიექტი გახსნა ქობულეთში: შატო შალე და შატო კვირიკე, რომლებიც ხელს უწყობს მაღალშემოსავლიანი ტურისტების შემოღობას. დარწმუნებული ვარ, მოსახლეობა კარგად ხედავს, რა კეთდება და რისი გაკეთებაც დაგეგმილია. ჩვენ პროგრესული კონსერვატორული ძალა ვართ, გვაქვს გამოწვევები, შესაძლებელია ხარტუნებაც, მაგრამ ყველაფერი მოგვარებადია. მთავარია, რომ მშვიდობა იყოს საქართველოში. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ ჩვენი მოქალაქეები 26 ოქტომბერს გააკეთებენ სწორ არჩევანს, რომელიც საქართველოს წარმატებულ მომავალს განაპირობებს.



„ტბელოზა“ – ხიხაძირში

ოთარ ცინაიძე 599 85 21 14

45 წლის წინათ ხულოელ ქალბატონ ეთერ დეკანაძის ინიციატივით წამოწყებულმა სახალხო დღესასწაულმა „ტბელოზამ“ დროთა ჩარტყილებს გაუძლო. ერთი, ქვეყანა ისევ ისეთივე ერთსულოვნებით ეფერება შუა საუკუნეების გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, როგორც ზემის დაარსების პირველივე წლებში. ისიც სათქმელია, რომ მაშინ არც მილიონები დახარჯულა ხიხანის ციხის რესტავრაცია-კონსერვაციაზე და არც მისსხვდელი კიბეების გაკეთებაზე უფიქრია ვინმეს.

ტბელის სამკვიდროში მისი მოღვაწეობის დამადასტურებელი კულტურის კერის გახსნაზე კი საუბარიც არ ყოფილა. უფრო მეტიც - საზოგადოება ტბელის შემოქმედებასაც ნაკლებად იცნობდა. უკვე გამოცემულია ტბელის თხზულებათა სრული კრებული და, როგორც ხიხანელი პროფესორი რამაზ ხალვაში აცხადებს, მიმდინარეობს მუშა-

ობა ტბელის შემოქმედების ინგლისურ ენაზე თარგმნისა და გამოცემისთვის.

წლებადღელ „ტბელოზაზე“ საზოგადოებაში მეცნიერისა და მოაზროვნის, ასტრონომისა და საეკლესიო მსახურისადმი მიძღვნილი წიგნიც იხილა, რომლის ავტორი პროფესორი რამაზ ხალვაშია. ხულოს მუნიციპალიტეტის მერიისა და რამაზ ხალვაშის ერთობლივი ძალისხმევით, შარშან ხიხაძირში ტბელის მუზეუმი ამოქმედდა. ის უკვე ასეულობით ექსპონატს მოიცავს, რომლებიც აჭარის ერისთავთერისთავთა, აბუსერისძეთა საქმიანობასა და მამულისათვის თავდადებულ მოღვაწეობას გვაცნობს. სწორედ მუზეუმის დათვალიერებით დაიწყო წლებადღელი სახალხო ზემი „ტბელოზა“. მსახველებს არსებულ ექსპონატებსა და მათ ისტორიაზე რამაზ ხალვაში ესაუბრა.

იყო წლები, როცა „ტბელოზა“ აბუსერიძეთა სამკვიდროში, თბილვანში ან კიდეც ხიჯაურის დასახლებაში (მაშინ, როცა საქარ-

თველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდის სხდომაზე ტბელი წმინდანად აღიარეს) იმართებოდა, მაგრამ რამდენიმე წელია ზემი ხიხაძირის ცენტრში, საჯარო სკოლის მიმდებარედ იმართება. აღსანიშნავია, რომ საუკუნის წინ აღდგა ხიხაძირში ქართული სკოლა. მის კედლებში თაობები აღიზარდნენ, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ქვეყნის ისტორიაში. 1,4 მილიონი ლარია მობილიზებული სკოლის შენობის რემონტისთვის, რომლის დასრულების შემდეგ საუკუნოვანი იუბილეს გამართვას აპირებენ.

ზემიზე მოსულმა ადგილობრივებმა და სტუმრებმა პირველად ხელსაქმის აქაური ოსტატებისა და ნორჩი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა დაათვალიერეს.

- წელს, სექტემბერში, მამაჩემის - სიმონ ართმელაძის დაბადებიდან 90 წელი სრულდება, ის პირველი ხულოელია, რომელიც კლასიკური განათლების მიღების შემდეგ მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა და უდიდესი წვლილი შეიტანა ხულოში სამხატვრო სკოლის განვითარებაში. აქ წარმოდგენილი ნახატები იმ საქმის გამოძახილია, რომელსაც სა-



თავე მამამ დაულო. ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის თანადგომით, მიმდინარეობს მუშაობა იუბილეს მაღალ დონეზე აღნიშვნისთვის, - თქვა ხულოს სახელოვნებო სკოლის დირექტორმა, მხატვარმა ესმა ართმელაძემ.

სხალთის ეპარქიის მღვდელმსახურებმა ეპარქიის ყველა ტაძარსა და სამოციქულოში ტბელის სულის მოსახსენიებელი ლოცვები აღავლინეს და დღის მეორე ნახევარში მოწიგებებს შეუერთდნენ.

ზემის წამყვანებმა - პოეტმა რამაზ ხალვაშმა და ნორჩმა დეკლამატორმა ხატია ცეცხლაძემ სცენაზე ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე იხმეს, რომელმაც იმ საქმეებსა და გამოწვევებზე ისაუბრა, რაც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, აღმასრულებელი სტრუქტურის პირველ პირად მისი არჩევის შემდეგ, ტბელის წარმოსაჩინად გაკეთდა.

იხ. მე-7 გვ.



სატბაოში სეკვა „ხორუმის“ მონუმენტი, ანსამბლ „ბერმუხისა“ და ლოტბარ დავით აბულაძის ვარსკვლავები გაიხსნა

ოთარ ცინაიძე 599 85 21 14

წლებია, სატბაო ხულოს მოსახლეობისა და სტუმრებისთვის კულტურისა და დასვენების ადგილად იქცა. ხულოელები 1998 წლის ტრაგედიის დროს დაღუპულებს პატივს აქ მიაგებენ. ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძის ინიციატივით სატბაოს უბანში ღია სივრცე მოეწყო, ხოლო ბიზნესმენ გრიგოლ ბერიძის დაფინანსებით, არქიტექტორ ოთარ შავაძისა და მოქანდაკე დავით ბოლქვაძის შემოქმედების საყოფი - ქართული ხალხური ცეკვა „ხორუმის“ მონუმენტი დაიდგა.

ასევე, სატბაოს სკვერში ვარსკვლავები გაუხსნეს ხულოში 1981 წლიდან მოქმედ უხუცესთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ბერმუხისა“ და მის პირველ ლოტბარს, ხულოს რაიონის სოფელ ვაშლოვანის მკვიდრს, აწ-

განსვენებულ დავით აბულაძეს. ეს სახელები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, საზოგადოების წარმომადგენლებმა შესაბამისად იხილეს.

- კარგად მახსოვს ის დღეები, როცა ქალბატონ ეთერ დეკანაძის ინიციატივით ხულოში მცხოვრებ სიმღერისა და ცეკვის სამოცდათხუთმეტ ცნობილ ოსტატს თავი მოგუყარეთ და ქორეოგრაფ შოთა ბერიძისა და ლოტბარ დავით აბულაძის ინიციატივით ანსამბლი „ბერმუხა“ ჩამოვყალიბეთ, - გვითხრა კულტურის სფეროს ვეტერანმა ავთანდილ ბოლქვაძემ.

43 წლის განმავლობაში „ბერმუხამ“ სახელოვანი გზა განვლო. იგი საკავშირო ფესტივალის სამგზის ლაურეატი გახდა, მიღებული აქვს ხალხური ცეკვის ეროვნული პრე-



მია, ექვსჯერ მოიპოვა ფოლკლორის დარგში ლაურეატის წოდება, ასევე, ფოლკლორის ეროვნულ პრემია. მისი წევრები დაჯილდოვდნენ ორდენებითა და მედლებით, აჭარის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით. ბერმუხელების ხელოვნებას იცნობენ უცხოეთის 10-მდე ქვეყანასა და საქართველოს ყველა რეგიონში. ახლა ანსამბლი 13 წევრს ითვლის. მას დაარსების დღიდან შემორჩენენ საუკუნის თანატოლი მუხამედ და 90 წელს გადაცილებული ოთარ ირემაძეები. მუხამედი კანმრთელობის მდგომარეობის გამო ვეღარ ცეკვავს, ოთარი ისევ სცენაზეა. დაარსების დღიდან „ბერმუხის“ აკომპანიატორები არიან მერაბ ქედელიძე, ზაურ ბოლქვაძე და გიამელაძე.

- 1981 წლიდან კულტურისა და ხელოვნების მოამაგეთა ყურადღების ქვეშ ვართ, ახლა ანსამბლს რეზო აბულაძე ხელმძღვანელობს. 13 წევრს ვითვლით. საზეიმო ცერემონიაზე ყველანი მოვედით. ვარსკვლავის გახსნა ჩვენი ხელოვნების კიდევ ერთი აღიარებაა, - გვითხრა ოთარ ირემაძემ.

წუთისოფელში აღარაა ლოტბარი დავით აბულაძე, რომელმაც სიცოცხლის ბოლო წლები ბათუმში გაატარა. მის სახელთანა დაკავშირებული ბათუმის მერიასთან არსებული გოგონათა სიმღერის ანსამბლ „ბათუმის“ ჩამოყალიბება.

1500 კვადრატულ მეტრზეა განთავსებული სატბაოში აღნიშნული სახელებით გალ-

ამაზებული სივრცე. მონუმენტისა და ვარსკვლავების გახსნის, ლენტის საზეიმოდ გაჭრის შემდეგ ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა მეგლს საბურველი ჩამოხსნეს.

საზეიმო რიტუალის წამყვანებმა ხატია ცეცხლაძემ და რამაზ ხალვაშმა სცენაზე ანსამბლი „ბერმუხა“ მიიწვიეს. საზოგადოების წარმომადგენლებს, ფერეინიდან მოპატიუებულ სტუმრებს მიესალმნენ ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საქართველოს პარლამენტის წევრი ანზორ ბოლქვაძე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე, ამავე ორგანოს კომისიის თავმჯდომარე ნარგიზ დეკანაძე, მოქანდაკე დავით ბოლქვაძე, დავით აბულაძის ოჯახის ახლობელი ირინა აბულაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ჯამბულატ მელაძე, ანსამბლ „ბერმუხის“ ხელმძღვანელი რეზო აბულაძე. საზეიმო ცერემონია გოგონათა ანსამბლ „ბათუმის“ გამოსვლით დასრულდა.

- სატბაოს სკვერში მონუმენტისა და ვარსკვლავების გახსნით ხულოს კიდევ ერთი სანახაობითი ობიექტი შეემატა. ეს ტერიტორია უხუცოელ და ადგილობრივ ვიზიტიორებს მოიზიდავს, იგი ახალგაზრდებისთვის გასართობ ცენტრად იქცევა. თქვენი გახუთით მადლობა გვინდა გადავუხადოთ არქიტექტორს, მოქანდაკესა და ბიზნესმენ გრიგოლ ბერიძეს, - გვითხრა ვახტანგ ბერიძემ.



პეტიცია, რომელიც მსოფლიო ასპარეზზე კულტურული აღიარების გაძლიერებას იმსახურებს

მარიამ ხითაიშვილი 27 48 93

ჩვენი სტუმარია საგანმანათლებლო სტრატეგიატორ „ბიზის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ნინო ბაბიაძე. იგი უცხო ქვეყნის კულტურის „ელჩი“ და აქტივისტია, უძღვება სხვადასხვა გამოწვევასა და შეხვედრას იაპონური ენის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიატორის სახელით მან და მისმა კოლეგა ანა სარიშვილმა პეტიცია შეიმუშავეს, რომლის მიზანია საერთაშორისო კონტექსტში სახელწოდების „საქართველო/Sakartvelo“, ასევე ტერმინების „ქართველი/Kartveli“ და „ქართული/Kartuli“ დამკვიდრების ხელშეწყობა.



მდედარეობს. ბევრს შტატ ჯორჯიაში ერევა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში, დედაქალაქის „მეორე ბოლოში“ მდებარეობს. შესაბამისად, ქართველებს ხშირად გვიწევს დაკონკრეტება, რომ არა შტატზე, არამედ ქვეყანაზე ვსაუბრობთ. ჩვენი ქვეყანა ათასობით წელს ითვლის და საკმაოდ დიდი ისტორიისა და კულტურის მატარებელია. ჩვენი იდენტობისთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი გვერქვას ჩვენი უნიკალური სახელი, როგორც ქვეყანას, ასევე ერსა და ენას.

- მოგვიყვით თქვენ შესახებ, რას საქმიანობთ?
- ჩვენი ვართ შპს „ბიზის“, რომელიც დაარსდა 2024 წლის 22 თებერვალს და ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას ტექნოლოგიური მიმართულებით. „ბიზის“ დამფუძნებლები ვართ ბიზნესადმინისტრირების ბაკალავრები, ვსაუბრობთ რამდენიმე ენაზე: ქართულად, ინგლისურად, გერმანულად, იაპონურად, რუსულად და სხვა. ანა სარიშვილი მთავარი ბუღალტერი და აუდიტორია. მას უცხო ენის სწავლების გამოცდილება აქვს და, ასევე, ფინანსური განათლების გაცეცხლებაზე მუშაობს. ის ახლოს არის ქართული ენის სპეციფიკასთან და სწავლების მეთოდოლოგიასთან.

- თქვენს პროექტზე გვიამბეთ...
- „ბიზის“ პირველი პროექტია „გაქართულე-ბა/Georgify“, რომელიც ქართული ენის შემსწავლელი აპლიკაციაა ნებისმიერი მსურველისთვის. კომპანიას აქვს მიზნების ფართო სპექტრი. გვსურს განვითარება მრავალი კუთხით, იქნება ეს ენობრივი, თუ პროფესიული. ჩვენი ვართ ახალგაზრდები, რომლებსაც პატრიოტული სულისკვეთება ძალიან მნიშვნელოვანია და სწორედ აქედან გამომდინარეობს ჩვენი საქმიანობა.

- თვლით, რომ თქვენი მიდგომა, იდეა და აზრი საზოგადოებამდე მივა და აიტაცებენ მას?
- ამ საკითხზე ხალხის მხრიდან არაერთი აზრი მოგვისმენია და არა მხოლოდ ჩვენივე, მათთვისაც მნიშვნელოვანი და ახლო თემა აღმოჩნდა. არსებობს ფაქტები და გამოცდილება, რომლის მიხედვითაც მრავალმა ქვეყანამ აღიღვნა თავისი ისტორიული და ეროვნული სახელწოდება. ქართული სულისკვეთებიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ ბევრი აიტაცებს და გაიზიარებს ჩვენს იდეას, რაც ვფიქრობთ, საბოლოო ჯამში, ფართო მასშტაბს მიიღებს.

- საკმაოდ რთულ და საბასუხისმგებლო საქმეს შეგვიძლია. როგორც ვაგვიტყვით, პეტიცია შექმნილი...
- გეთანხმებით, ეს არის საბასუხისმგებლო საკითხი ახალგაზრდებისთვის. ჩვენი პეტიცია მიზნად ისახავს საქართველოს იდენტობის უფრო მეტად პატივისცემის ხელშეწყობას, ისტორიული უზუსტობის მოგვარებას და კულტურული აღიარების გაძლიერებას მსოფლიო ასპარეზზე. შესაბამისად, პეტიციის მოწოდებაა საერთაშორისო კონტექსტში სახელწოდების „საქართველო/Sakartvelo“ და ტერმინების „ქართული/Kartuli“ და „ქართველი/Kartveli“ დამკვიდრების ხელშეწყობა, ასევე ისტორიულად წარმოშობილი სახელების „Georgia“, „Georgian“ და „Georgian language“ ჩანაცვლება.
- რამ განაპირობა ამ პეტიციის შექმნა?
- მოგვხსენებთ, რომ უცხოელები საქართველოს იცნობენ, როგორც „Georgia“-ს. ხშირ შემთხვევაში, მათ უწევთ იმის გარკვევა, რა ქვეყანაა საქართველო, სად

- სად შეიძლება ამ პეტიციის ნახვა და შეგება/ხელმოწერა?
- ამ პეტიციის ნახვა შეიძლება საიტზე manifest.ge. საიტზე სისტემაში „ბიზის“ ჩაწერით ჩვენი პეტიცია მარტივად მისაღებაა. მისი სახელწოდებაა „სახელწოდების „საქართველო/Sakartvelo“ საერთაშორისო კონტექსტში დამკვიდრება“ (ლინკი: <https://manifest.ge/petitions/293096/>). პეტიციის საკანონმდებლო დონეზე განსახილველად აუცილებელია მინიმუმ 10 ათასი ხელმოწერა ერთი თვის განმავლობაში. შესაბამისად, მზარდი ვიქტორია, თუ საზოგადოება ყურად იღებს და გაიზიარებს აღნიშნულ ინიციატივას. დარწმუნებული ვართ, ეს კიდევ უფრო გაუხარებს ხაზს ჩვენს იდენტობასა და სამშობლოს სიყვარულს.

საერთაშორისო ტურნირი – ქარატიში

მანანა პიპიშვილი 598 24 94 97

6-7 სექტემბერს ბათუმის მუხრან ვანტაგის სახელობის სპორტის სასახლე კონტაქტურ კარატეში საერთაშორისო ტურნირის „ბათუმი ოუფენ 2024“ უმასპინძლებს ბათუმის ტატიამზე 14 ქვეყნის 300-მდე სპორტსმენი იბრძოლებს, რომელთა შორის ევროპის მოქმედი ჩემპიონებიც იქნებიან. ამათგან 140 სპორტსმენი საქართველოს სახელით იასპარეზებს, მათ შორის 80-მდე კარატისტი აჭარის წარმომადგენელია.




ტურნირში მონაწილეობენ უკრაინის, ლიეტუვას, ლატვიის, უნგრეთის, საბერძნეთის, ესპანეთის, ავსტრიის, პოლონეთის, ისრაელის, ყაზახეთის, ბელგიის, სომხეთისა და საქართველოს კარატისტები. ტურნირზე ჩამოვლენ ევროპის კარატეს ორგანიზაციის პრეზიდენტი რემიგუს კარპინსკი (პოლონეთი), ბელგიის კონტაქტური კარატეს ფედერაციის პრეზიდენტი, ევროპის კარატეს ორგანიზაციის აღმასკომის წევრი კონე სპიტალსი. ტურნირის მთავარი მსაჯი იქნება საბერძნეთის ფედერაციის პრეზიდენტი ჯორჯ კოსმიდისი. ტურნირი ოფიციალურად 7 სექტემბერს, 15:00 საათზე გაიხსნება.

არჩვენებში მონაწილე სუბიექტების საყურადღებოდ!

ფასიანი წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთი „აჭარა“ ყოველ ნომერში გამოყოფს სამ შავ-თეთრ გვერდს, რომელთა საერთო ფართი შეადგენს 2700 კვ სანტიმეტრს, აგრეთვე ბოლო - ფერად გვერდს, რომლის ფართიც 900 კვ სანტიმეტრია. ფასი: შავ-თეთრ გვერდზე (1 კვ სანტიმეტრი) - 30 თეთრი; ფერად გვერდზე (1 კვ სანტიმეტრი) - 50 თეთრი.

გახსენება

ილინ (ილია) კილაძე



40 ტკივილიანი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენს რიგებს გამოაკლდა გვარის, სანათესაოსა და სამეგობროს ღირსეული წარმომადგენელი ილინ (ილია) კილაძე. ბედნიერებაა, ამ ქვეყნად დატოვო ისეთი სახელი, როგორც 95 წელს მიტანებულმა ადამიანმა შეძლო.

დაიბადა ოზურგეთის რაიონის სოფელ სილაურში. 1947 წელს, მამათის საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტი გახდა. წარჩინებული კურსდამთავრებული ახალსოფლის, მახვილაურის, კახაბრის სკოლებში სპეციალობის მიხედვით მუშაობდა. 1954 წლიდან 1980 წლამდე ბათუმის (ახლანდელი ხელვაჩაურის) რაიონის განათლების განყოფილების მეთოდისტი, მეთოდური კაბინეტის გამგედ, სასკოლო ინსპექტორად იმუშავა. 7 წლის განმავლობაში ხელვაჩაურის რაიონის განათლების განყოფილების გამგე იყო და სასიკეთო კვალი დატოვა.

ილინ (ილია) კილაძე კილაძეების საგვარეულო კავშირის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, დაარსების დღიდან გამგეობის წევრი იყო. მისი ავტობიოგრაფიული მასალები კილაძეების საგვარეულოზე წიგნის გამოსაცემად. სანიმუშო პიროვნებას, ქვეყნისა და ეროვნული ტრადიციების ერთგულ ადამიანს, კილაძეების საგვარეულო კავშირის ყოველთვის პატივს მიაგებს. კილაძეების საგვარეულო კავშირის სახელით, ნოდარ კილაძე, კავშირის ხელმძღვანელი

პეტიცია ჩვენი მისიან საქართველოს ავთენტური სახელწოდების საერთაშორისო აღიარება

პეტიციის მოწოდებაა საერთაშორისო კონტექსტში სახელწოდების „საქართველო/Sakartvelo“ და ტერმინების „ქართველი/Kartveli“ და „ქართული/Kartuli“ დამკვიდრების ხელშეწყობა, ასევე ისტორიულად წარმოშობილი სახელების „Georgia“, „Georgian“ და „Georgian language“ ჩანაცვლება. ჩვენი მისიაა, უზრუნველვყოფთ აღიარება და გლობალური გამოყენება საქართველოს ავთენტური სახელწოდებისა, რომელიც ასახავს ქვეყნის ნამდვილ კულტურულ და ენობრივ მემკვიდრეობას. ჩვენ მიზნად ვისახავთ, ხელი შევუწყობთ საქართველოს იდენტობის უფრო მეტ პატივისცემას, ისტორიული უზუსტობების მოგვარებასა და კულტურული აღიარების გაძლიერებას მსოფლიო ასპარეზზე.

„საქართველო/Sakartvelo“ არის ქვეყნის მშობლიური სახელი, რომელიც ასახავს მის ისტორიულ, კულტურულ და ენობრივ იდენტობას. ტერმინი „Georgia“ მომდინარეობს ლათინური და ბერძნული წყაროებიდან, რომელზეც შესაძლოა გავლენა იქონია ისტორიულმა ან ენობრივმა გაუგებრობამ. შესაბამისად, „Georgia“ ზუსტად არ წარმოადგენს ქვეყნის იდენტობას და იწვევს კულტურულ შეუსაბამობას. ანალოგიურად, „ქართველი/Kartveli“ (ხალხისთვის) და „ქართული/Kartuli“ (ენისთვის) არის ტერმინები, რომლებსაც ქართველები იყენებენ თავიანთი ეროვნებისა და ენის აღსაწერად.

გაზეთი „აჭარა“ ბთაპავოზთ ნებისმიერი სახის ღიანიერულ მომსახურებას, ღიანიის თანამედროვე სტილში გაღაწვებებს, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. ღიანიის ღაგაღაგის მსურველებმა მიმართეთ გაზეთი „აჭარის“ სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

მთავარი რედაქტორი მარიანა მითაიშვილი	გამომცემი რედაქტორი ირმა შერვაშიძე ლიტერატურული რედაქტორი ეთერ სომარიკი	რედაქცია პასუხს არ ავებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე. R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.	გამომცემი - შპს „გაზეთი აჭარა და ალპარია“ კოორდინირებული მომსახურება - შპს „კოლორ პრინტი“ მის: ქ. თბილისი, ქ. პაღალაძის ქ. №3	მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლშვილის ქ. №2 ტელ: 27-13-31 აიწყო და დაგაგაგონა გაზეთი „აჭარის“ კომპ. ცენტრი დასაბუღავ ხელმოწერილია 5/09/24, 17 მ. სთ.	ღირაძეობი გამუკა პერიკა
---	--	---	--	--	--



ლიანა ისაკაძის სახელობის საერთაშორისო ფესტივალის ორი ბათუმური დღე

ლიანა ისაკაძის სახელობის საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“ წელს საქართველოს სამ ქალაქში იმართება. აქედან ორში - ბორჯომსა და ბათუმში უკვე ჩატარდა. ორგანიზატორებმა - ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი ისაკაძემ (ფესტივალის დამფუძნებელია ლიანა ისაკაძე) და ფესტივალის დირექტორმა და კომპანია „არტ ალიანსის“ დამფუძნებელმა ნინა ცაგარელმა მსმენელებს საუკეთესო პროგრამა შესთავაზეს. დღეს ბათუმურ ორ დღეზე გიამბობთ, რომელმაც აღფრთოვანა მსმენელი პირველი საფესტივალო დღე ჩვენს ქალაქში იტალიელ ბანდონიონისტ მარიო სტეფანო პიეტროდარკს დაეთმო, მეორე კონცერტზე კი მსმენელის წინაშე მევიოლინე ელვინ ხოჯა განიხილა (აზერბაიჯანი/თურქეთი) წარსდგა. ლამაზ სიურპრიზად მიიღო მსმენელმა პიანისტ სანდრო ნებერიძისა და ჩელოისტ ლიზა რამიშვილთან ერთად მისი გამოსვლა. ორივე კონცერტში ფესტივალის საბაზო ორკესტრი „საქართველოს ვირტუოზები“ მონაწილეობდა (პირველი ვიოლინო - ლელა მჭედლიძე). შესრულდა მსოფლიოში აღიარებული კომპოზიტორების, მათ შორის ენიო მორიკონეს, ნინო როტას, ასტორ პიაოლას, ანტონიო ვივალდის, პავლინისა და სხვათა ნაწარმოებები.

ორი დღის განმავლობაში არაერთი ადამიანი ჩაგწერეთ, რომელთა კომენტარებს ქვემოთ ვთავაზობთ.

ბაბაძე ძინვანა, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე:

- წლის სიახლე ისაა, რომ უკვე ახალი ფესტივალია ახალი სახელოდები - ის მის დამფუძნებელ ლიანა ისაკაძის სახელს ატარებს. ფესტივალის 1982 წელს დაარსდა და 16 წლის წინათ აღდგა ბათუმში, შემდეგ დაემატა მას თბილისი და მოგვიანებით - ბორჯომი. თანამედროვე ქართულ კულტურულ გეოგრაფიაში ეს ფესტივალი ერთერთი საუკეთესოა. ჩვენს ქალაქში თანამედროვე ხელოვნების მიმართულებით ბევრი ფესტივალი ტარდება, მაგრამ კლასიკური მუსიკის განხრით ეს ერთერთი საუკეთესო, ფუნდამენტური ფესტივალია. სწორედ ამიტომ ესწრება ამდენი ადამიანი და მომავალშიც ასე იქნება. ლიანა ისაკაძის გარდაცვალების შემდეგ იგი პირველად იმართება. მადლობა მინდა გადავუხადო ლიანა ისაკაძის სულს ამ ფესტივალის დაარსებისთვის - გენიალური შემოქმედება.

გიორგი ისაკაძე, ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი:

- დიდი წარმატებით ჩატარდა ფესტივალის გახსნის კონცერტი ბორჯომში, რომელმაც შემდეგ ბათუმში გადმოინაცვლა. ბათუმელებთან შეხვედრა დიდი სიხარული იყო, თუმცა დიდი სევდაც ახლდა - წელს გამოვეშვიდობებთ ლევინდარულ, დიდ მუსიკოსს და პიროვნებას, ფესტივალის დამაარსებელ ლიანა ისაკაძეს... უანრობრივად ფესტივალი მრავალფეროვანი და საინტერესოა.

სოფო ხალვაში, ქალაქ ბათუმის ვიცე-მერი:

- ჩვენი ქალაქისთვის განსაკუთრებულია ეს ფესტივალი, რომელიც მე-16 წელია, აქ

ბაზიდან საოცარი მუსიკი მოდის. ქართველი პუბლიკისთვის ყოველთვის მაქსიმუმს ვაკეთებ, ვფიქრობ, მსმენელისა და ჩემი არაჩვეულებრივი ტანდემი შედგა.

სანდრო ნებერიძე, პიანისტი:

- ფესტივალთან მრავალწლიანი ურთიერთობა მაკავშირებს როგორც პიანისტს და კომპოზიტორს. 2021 წელს ჩემი ნაწარმოების პრემიერა გაიმართა. 15 სექტემბერს თბილისში კვლავ შედგება ახალი პრემიერა. მიხარია, რომ ბათუმში, ფესტივალზე დაკვრის შესაძლებლობა მომეცა.

ელვინ ხოჯა ბანიშვილი, მევიოლინე:

- 12 წლის წინ ვიყავი ამ ფესტივალზე, მაშინ 14 წლის გახლდათ. ახლა ისევ აქ ვარ,



გიორგიბით. ძალიან მიყვარს ქართველი მსმენელი, მისთვის ყოველთვის მთელი გულით ვუკრავ. სანდრო ნებერიძე და ლიზა რამიშვილი აქ გავიცანი, ვივალდიც სპონტანურად დავეყარით. ორივე ტალანტია.

ნატო ორბაძე, მუსიკოსი:

- ნამდვილად დაუვიწყარი საღამო გვაჩუქეს წელს ორგანიზატორებმა. მარიო სტეფანო პიეტროდარკიმ ჩვენთვის ახალი ინსტრუმენტი - ბანდონიონი წარმოგვიდგინა. ფანტასტიკური მუსიკოსია, ბრწყინვალე რეპერტუარით, რომელიც მუსიკის ყველა მოყვარულისთვის ნაცნობია, მაგრამ ამ ინსტრუმენტით შესრულებული ნამდვილად სიურპრიზი იყო. მიხარია, რომ „საქართველოს ვირტუოზების“ 12 არაჩვეულებრივი მუსიკოსი ყველა მოთხოვნას პასუხობს.

ტატია ბახტაძე, მსმენელი:

- უსაზღვრო სიამოვნება მივიღე, ეს იყო უმაღლესი დონის კონცერტი, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, მსგავსი არაფერი მომისმენია.

ლელა მჭედლიძე, „საქართველოს ვირტუოზების“ პირველი ვიოლინო, კონცერტმასტერი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის პირველი ვიოლინო, პროფესორი:

- ბანდონიონისტა და ჩვენ დიდი ხნის შემოქმედებითი ურთიერთობა გვაკავშირებს, უმაღლესი დონის მუსიკოსია. ჩვენ დარბაზთან ერთად ვსუნთქვით. ესაა ხელოვნება, მუსიკის დანიშნულება.

15, 17, 20 სექტემბერს ფესტივალს დაემატა ქალაქი უმათბინძლებს.



იმართება. შეუძლებელია, არ ვახსენოთ მისი სულსჩამდგმელი ლიანა ისაკაძე, რომელიც არა მხოლოდ ფესტივალს, არამედ მსოფლიო მუსიკალურ ხელოვნებას გამოაკლდა. წელსაც გამოირჩეული, საუკეთესო მუსიკოსები ჩამოვიდნენ. აქ ყოველთვის ნიჭის ზეიმი.

მარიო სტეფანო პიეტროდარკი, იტალიელი ბანდონიონისტი:

- ძალიან დიდი სიყვარული მინდა გამოვხატო ქართველი მსმენელის მიმართ, დარ-

მაგრამ... ლიანა ისაკაძის გარეშე. ის ჩვენი ოჯახის ახლობელი ადამიანი იყო. ქალბატონი ლიანა მსოფლიო ლეგენდა გახლდათ, ასევე, არაჩვეულებრივი ადამიანი. მადლობა ორგანიზატორებს ამ ფესტივალის ჩატარებისთვის, მადლობა ბათუმს ასეთი თბილი და ხვედრისთვის. ძალიან ცუდია ლიანა ისაკაძის გარეშე ყოფნა, მაგრამ სასიხარულოა, რომ ფესტივალი ისე გრძელდება, როგორც მას უნდოდა, ჩვენ კი მისთვის ვუკრავთ, მისთვის

„სარუქარი ბათუმს“ - ახალი კლიპი

ბათუმის ზღვისპირა პარკში, საზაფხულო თეატრის წინ ახალი კლიპის „სარუქარი ბათუმს“ პრემიერა მოეწყო (კომპოზიტორი - გიული კუბლაშვილი, ოპერატორი - ეკა მძელური), რომელსაც აჭარის ტელევიზიის წამყვანი მარიამ მჭავანძი უძღვებოდა

კლიპის დაწყებამდე დამთავალიერებელს შესაძლებლობა მიეცა, ენახა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ანა ჰყონიას ნამუ-

დავიღე. გადაღებები სპონტანურად მიმდინარეობდა, ბუნებრივად, როგორც არაინძენი ბათუმელები, ქალაქის კოლორიტები. კლიპი სულ სამწუთნახევარს გრძელდება, - გვითხრა ეკა მძელურმა.

სიმღერის, რომელიც გახდა ამ კლიპის შთაგონების წყარო, მუსიკის ავტორი კომპოზიტორი გიული კუბლაშვილია. ეს სიმღერა დაახლოებით 20 წლის წინათ დაიწერა.



შეგრები. 25 წლის გოგონასთვის ეს პირველი გამოცემა არ არის, თუმცა ყოველი ახალი ექსპერიმენტი გულშემატკივარსაც უმრავლეს და მუშაობის სტიმულსაც აძლევს. ფერთა საოცარი აღქმა აქვს. თბილ, ხალას ნამუშევრებში ქალაქის სიყვარული იგრძნობა. ძირითადად, ზღვის თემა მოსწონს, შეიძლება ითქვას, რომ მარინისტია.

რაც შეეხება კლიპს, ჩვენებამდე შემოქმედებითმა ჯგუფმა ისაუბრა მისი შექმნის შესახებ.

კლიპის ოპერატორი, ვიდეოგრაფი ეკა მძელური რუსთავიდანაა. როგორც გვითხრა, 5-6 წელია, რაც ვიდეოკლიპებს იღებს. მის მიერ გადაღებულ კლიპებს იუთუბზე მრავალი მომხმარებელი ჰყავს.

- ეს კლიპი უანგაროდ, მეგობრულად გა-

და, ის სინაზე და სიტბო გადმომეცა, რაც ჩემთვის ბათუმია.



იმ დღეს ბათუმელებმა და მისმა სტუმრებმა კლიპი პირველად იხილეს. იგი სპეციალურად დაწერილი სცენარით გადაღებული არ არის.

- როცა სიმღერა მოვისმინე, მასზე კლიპის შექმნა მომიხდა და ეს სურვილი გიულის გაგანდე. მთავარი იყო, ამ სიმღერაში ის გადამოეცათ, რაც ბათუმს აქვს. ამ იდეის ქვეშ გავერთიანდით და მე, გიულიმ და ეკამ ამ იდეას „სარუქარი ბათუმს“ ვუწოდეთ. მადლობა ყველას, ვინც კლიპის გადაღებას შეუწყო ხელი, მადლობა ბათუმის მერიას, ყველა ბათუმელს, - აღნიშნა იდეის ავტორმა ნინო კერვალიშვილმა.

- ასეთი ნათელი კლიპი დიდი ხანია, არ მინახავს. როგორც აქ ითქვა, ეს მართლაც ჩანახატია - საოცრად ნათელი და ბათუმელებით მზიანი, - გვითხრა ბელა ქეზურაძემ.

- კლიპში ბევრი ვინმე არ შემხვდა, მაგრამ ეს საყველურად არ მიიღო, სხვა რამ მინდა ვთქვა... იცით, სიმღერაც, ლექსიც დრო-

ში უნდა გამოცადოს. ამ სიმღერას აქვს რაღაც განსაკუთრებული სიმღერა, რაც ჩვენს თაობას ახასიათებს. მშვენიერი და წყნარი მელოდიაა, - აღნიშნა ვახტანგ ლლონტაძე.

- რაც ბათუმს უხდება - ზღვა, სიმღერა, ბათუმელები, ეს ყველაფერი ამ ფილმშია. მადლობა ნინო კერვალიშვილს იდეისთვის და ყველას, ვინც ამ კლიპით ბათუმისადმი სიყვარული გაგვიზიარა, - თქვა ქალაქ ბათუმის ვიცე-მერმა ლელა სურმანიძემ.

- იშვიათად მინახავს ბათუმზე კლიპი, ჩანახატი წვიმის გარეშე, მაგრამ ამ კლიპში იყო ბევრი მზე - ყველა კადრი მზით იყო გაბრწყინებული. არ იყო რამე დამალული - ხშირად უფრო ყველაფერ ლამაზს აჩვენებენ, აქ კი ძველი სახლებია შეპარული, სილაღე, საოცარი განწყობა, მწვანე მთლიანად ზღვა იყო და არა შავი... ჩემთვის წვიმდა - თვალზე ცრემლი მომადგა, ქარხიზა და ენერგეტიკა მომიტანა კლიპმა, რომელიც ძალიან მომეწონა. კარგია, რომ ზედიზედ სამჯერ გვიჩვენეს... სიამოვნებით ვნახავ რამდენჯერმე, ანუ კიდევ ნახვა აუცილებლად მომინდება, - გვითხრა პედაგოგმა ნინო სურმანიძემ.

გვერდი მოამზადა მანანა კიმიშიძემ